პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სამშაბათი
14 აგვისტო
№ 188 (17533)
ფასი 2 კაპ.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

18 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა როლს „სახალხო მეურნეობის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების საქმეში.

ინფორმაცია დაგეგმვისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების ცვლილებებით გათვალისწინებულ ძირითად საკითხებზე გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვმა. გაიმართა ფართო აზრთა გაზიარება.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. პ. კირილენკომ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიღებული დადგენილებანი ასახავენ პარტიის იმ ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების თანამიმდევრულობას, რომელიც XXIII, XXIV, XXV ყრილობებმა შეიმუშავეს მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით. მათი საფუძველია სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები.

დადგენილებანი შეიცავენ იმ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ დაგეგმვისა და ეკონომიკის მართვის სრულყოფას, სახელმწიფო გეგმის როლის გაძლიერებას და ამავე დროს — დემოკრატიული საწყისების, შრომელთა კოლექტივების უფლებათა გაფართოებისა და საკუთრებაზე, ეკონომიკაზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირების, შრომითი კოლექტივების მზარდი როლი-საგეგმო დავალებათა შემუშავებასა და შესრულებაში, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, ეკონომიკური მშენებლობის ყველა უბანსა და ყველა დონეზე პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

თათბირის მუშაობის დროს აღინიშნა, რომ ზემოხსენებულ დადგენილებათა რეალიზაციისათვის მუშაობა უნდა დავუკავშიროთ 1979 წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებას, სოციალისტური შეჯიბრების, მშრომელთა ინიციატივის განვითარებას, რასაც „იდეა უფრო ფართო გასაქანი მიეცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელების შეიგგად.

საჭიროა აქტიურად გამოვიყენოთ პრესის, ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებათა ძალა, რათა გაჩაღდეს საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

აღინიშნა, რომ მიმდინარე მოვლენების გაშუქებაში საჭიროა მეტი აქტიურობა და ოპერატიულობა, მეურნეობის გაძღოლის საუკეთესო ნიმუშებისა და მრეწველობის, მშენებლობისა და სხვა დარგების ახალი მიღწევების ჩვენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსავლის აღებისა და დაცვა-შენახვის, სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებათა შესრულების საკითხების გაშუქებას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ბ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ა. რ. რეთეი სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები.

ვმაართოთ ხარისხი

ამავალლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი — ასეთია მეათე ხუთწლედის დევიზი და დღის ლოზუნგი, რომელიც მთელი ჩვენი საქმიანობის სული და გული, პარტიისა და ხალხის უმთავრესი საზრუნავი გახდა.

ამიტომ არის, რომ უკეთ მუშაობა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა, როგორც ჩვენი განვითარების ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია.

ამ ამოცანის გადაჭრის პირობად კი პარტია გვისახავს უმაღლეს ორგანიზებულობას, წესრიგს და დისციპლინას სამეურნეო მუშაობის ყველა უბანზე, ვინაიდან დისციპლინისა და ხარისხის პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება და უშუალოდ განაპირობებს ერთმანეთს.

ამდენად, ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაუმჯობესებლად განხორციელებულმა დიდმა ორგანიზაციულმა და პოლიტიკურმა ღონისძიებებმა უკეთ მუშაობის, ხარისხისა და ეფექტიანობისათვის ბრძოლის გააქტიურების ხელსაყრელი პირობები შექმნა.

ხაჭართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და დამზადების სამინისტროებსა და „საქსასოფლტექნიკის“ სისტემებში შემუშავებულია და ბევრგან განხორციელდა კიდეც პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის ღონისძიებები. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ შესაბამის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებას.

ეკონომიკური სტიმულირების, წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებების განხორციელების და აგროტექნიკური კომპლექსის დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების წყალობით რესპუბლიკაში კიდევ უფრო გაუმჯობესდა ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-ტრაქტორების რემონტის, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების ხარისხი.

მაგალითად, ბოლო წლებში წარმოებულ ჩაის ფოთოლში პირველი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონა 66-დან 70 პროცენტამდე გადიდდა. წლეულს კი ეს მაჩვენებელი 70,8 პროცენტს აღწევს. თუ ჩვენი მეჩაიეები სხვაობას შარშანდელთან შედარებით ერთ პროცენტამდე გაზრდიან, ისინი დამატებით მილიონ-ნახევარ მანეთზე მეტ მოგებას მიიღებენ.

საზოგადოებრივი შრომის ეკონომია, შრომის ნაყოფიერების ზრდა და წარმოების ეფექტიანობა რომ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული, კარგად იციან ლენინელთაც. გუდაუთის. ზუგდიდის, ცხაკაიას, ქობულეთის და სხვა რაიონების მეჩაიეებმა, რომლებმაც წლეულს მოკრეფილი ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობაში პირველი ხარისხის პროდუქცია შარშანდელთან შედარებით 2 პროცენტზე მეტად გაზარდეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზემოხსენებული რაიონები ათასობით ტონა ჩაის ფოთოლს ამზადებენ და პირველი და მეორე ხარისხის ტონა ჩაის ფოთლის ღირებულებათა შორის სხვაობა 300 მანეთია, ადვილი წარმოსადგენია ხარისხიანი მუშაობისაგან მოსალოდნელი დიდი ეკონომიკური ეფექტი.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღდა მუშაობა წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღება-დაბინავებისათვის, კიდევ უფრო მეტ დამრაზმველ ძალას იძენს და საპროგრამოა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითება, რომ „...წარმატების საზომი უნდა გახდეს არა მარტო მოწეული მოსავალი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ის, რასაც ვაწვდით მომხმარებელს, — მაღაზიებს, საყოლმეურნეო ბაზრებს, საბჭოთა ადამიანების სუფრას. ეს ყველა მეცადინეობის საბოლოო შედეგია და იგი უმთავრესად უნდა მივიჩნიოთ“.

სამწუხაროდ, საბოლოო შედეგებისათვის ბრძოლა ყველგან როდი მიიჩნიათ უმთავრეს საზრუნავად.

რედაქციაში შემოსული სიგნალები მოწმობს, რომ რესპუბლიკის ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობაში, ნათესები მეჩიტი და დასარევლიანებულია, ირღვევა ნიადაგის დამუშავების, სასუქების შეტანის, რწყვის, საკვების დამზადების ვადები და ტექნოლოგია. ფერმებში არ იცავენ პირუტყვის მოვლა-პატრონობის ზოოვეტერინარულ წესებს. ყოველივე ეს საბოლოოდ პროდუქციის ხარისხში იჩენს თავს. მაგალითად, უსტანდარტო კარტოფილის და კომბოსტოს რეალიზაციის ფაქტები გამოვლინდა მარნეულის, ბოლნისის და სხვა რაიონებში. სამხრეთ ოსეთში წლეულს 6 თვეში ჩაბარებული 2.970 ტონა რძიდან უხარისხო იყო 526 ტონა, ხოლო დაბალი საბაზისო ცხიმიანობისა — 62 ტონა. უსტანდარტო და დაბალი ცხიმიანობის რძის ჩაბარების გამო ოლქის მეურნეობებმა 38 ათასი მანეთი იზარალეს.

პირუტყვის ინტენსიური სუქების საქმის ცუდი ორგანიზაციის გამო 6 თვეში შარშანდელთან შედარებით ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო წონა შეამცირეს მესტიაში (39 კილოგრამით), წულუკიძესა და თელავში (29), წალკაში (23), სარეგრეში (21), აბაშაში (26) და სხვა რაიონებში; შარშან ქარელის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დამზადებული 12.101 ტონა ხილიდან უმაღლესი ხარისხის იყო მხოლოდ 34 ტონა ანუ 0,25 პროცენტი, პირველი ხარისხისა — 2.055 ტონა, ანუ 16,9 პროცენტი, თითქმის ამდენივე იყო მეორე ხარისხისა, ხოლო დანარჩენი (58,6 პროცენტი) მესამე ხარისხის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. ეს მაშინ, როცა ბაღების კარგი მოვლა-დამუშავების პირობებში მესამე ხარისხის პროდუქცია 10-15 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ეს მოთხოვნა რომ დაეცვათ და შესაბამისად გაედიდებინათ პირველი და მეორე ხარისხის პროდუქცია, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლეს ხარისხზე, ქარელის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მილიონ-ნახევარზე მეტ თანხას არ დაკარგავდნენ.

ეს მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის. უწინარეს ყოვლისა, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ხარისხის მართვის რაიონულმა კომისიებმა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ სისტემატურად აკონტროლებდნენ საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების რესპუბლიკური სტანდარტების შექმნისა და ამოქმედების ტემპის გაძლიერებას.

სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საქმეს. მათ სხვადასხვა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად საბოლოო მაღალი შედეგების მისაღწევად კონტროლი უნდა დაუწესონ იმას, რომ მკაცრად იცავდნენ სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს პროდუქციის წარმოების და დამზადების ყველა ეტაპზე.

პროდუქციის ხარისხის მართვის მთელი მუშაობის საფუძველი უნდა იყოს მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების და მეურნეობათა ხელმძღვანელების მაღალი კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა და საბოლოო შედეგებით მათი ღრმა დაინტერესება.

სოფლის მეურნეობის თითოეული მუშაკის წმიდათაწმიდა ვალია აქტიურად ჩაებას უკეთ მუშაობისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში, რათა მთელი თავისი შესაძლებლობანი გამოიყენოს უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად.

ახლა, ალოობის დამთავრების ეტაპზე, სოფლად ათასი საქმეა, მაგრამ განსაკუთრებით საჭიროა ხვალინდელ დღეზეც ვიფიქროთ. იმაზე, თუ როგორ საუკეთესო ვადებში და მაღალხარისხოვნად მოვაწყოთ საშემოდგომო თესვა, როგორ საგულდაგულოდ მოვუხვნეთ მზრალად საგაზაფხულო კულტურებისათვის განკუთვნილ ნაკვეთებს, დამოკიდებული იქნება საბოლოო შედეგი — წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი.

ალოობა—79

სურათზე: ხიღნალის რაიონის ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა კომბაინერი „ალოობა-79“-ის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, ივანე ბაიდოშვილის სახელობის პრიზის მფლობელი ვახილ ლეკაშვილი (წინა პლანზე).

ვ. მაჩაბლის ფოტო.

მეგობრული საუბარი

11 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეგობრულად ესაუბრა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ცედენბალს, რომელიც ბულგარეთში მოგზაურობიდან სამშობლოში ბრუნდება.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ყოველმხრივ თანამშრომლობას კვლავ კარგი პრაქტიკული შედეგები მოაქვს. ახალი ერთობლივი შრომითი გამარჯვება იყო სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის „ერდენეტის“ ასამუშავებელი კომპლექსის ვადამდე აშენება. შესრულდა მომდინარე ხუთწლედისათვის დასახული მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ყამირი მიწების ათვისების პროგრამა. სულ უფრო მტკიცდება ფართო ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ბაზა. საუბარში გამოითქვა მისწრაფება კვლავაც მჭიდროდ ითანამშრომლონ საწარმოო ძალების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, აგრეთვე ყველა სხვა დარგში.

როცა საგარეო-პოლიტიკური პრობლემები განიხილეს, ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა აღნიშნეს, რომ სსრ კავშირი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ერთად მოქმედებენ საერთაშორისო ცხოვრების ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ვითარებას. კვლავ დადასტურდა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ძმური სოლიდარობა ვიეტნამელ, ლაოსელ და კამბუჩიელ ხალხებთან.

საუბარმა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა IV საერთაშორისო კონგრესის მოწაწილეებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა IV საერთაშორისო კონგრესს დელეგატებსა და სტუმრებს, რომლებიც ბერლინში შეიკრიბნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავის წინ.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია აერთიანებს მსოფლიო ინტელიგენციის დიდ რაზმს, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს რუსული ენის შესწავლას და ხალხთა დაახლოებას მშვიდობისათვის, მეგობრობისა და სოციალური პროგრესისათვის. თქვენი ასოციაციის ჰუმანისტური საქმიანობა სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

სხვა მსოფლიო ენებთან ერთად რუსულ ენას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხალხთა ურთიერთობაში, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებას. სულიერი კულტურის ღირებულებათა გაცვლას, საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის გაფართოებას. რუსული ენის სიმდიდრე, მისი სილამაზე და გამომსახველობა არაერთხელ აღუნიშნავთ კარლ მარქსს, ფრიდრიხ ენგელსსა და კაცობრიობის სხვა გამოჩენილ პიროვნებებს. ამჟამად პლანეტის მილიონობით ადამიანი ისწრაფვის დაეუფლოს რუსულ ენას.

საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და გამოშცემლობები საზღვარგარეთელ მეგობრებს ეხმარებიან რუსული ენის შესწავლაში. სხვადასხვა ქვეყნის რუსისტებთან თანამეგობრობით საბჭოთა მეცნიერები კვლავაც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას რუსული ენის შესწავლის უახლესი მეთოდების შემუშავებაში, სახელმძღვანელობების, სასწავლო-მეთოდიკური სახელმძღვანელების, ლექსიკონების შექმნაში.

ენების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ერთმანეთისადმი ხალხთა ინტერესების განვითარებისათვის, ნდობის, კაცობრიობის ბედის გამო საერთო პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. გამოთქვამთ რწმენას, რომ თქვენი კონგრესი, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია რუსული ენის შემსწავლელი მეცნიერების განვითარებაში, ღირსეულ წვლილს შეიტანს მთელ მსოფლიოში ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთების განმტკიცების საერთო საქმეში. დაე, ეს კეთილშობილური მიზანი აკისკროვნებდეს მთელ თქვენს საქმიანობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ფრენის — 170-ე დღე

ფრენის მართვის ცენტრი, 13 აგვისტო. (საკდესი). კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ ორბიტულ ფრენას.

დღევანდელი დღის მეტი ნაწილი დაეთმო სადგურის სისტემებისა და აგრეგატების ფუნქციონირების შემოწმებას, აგრეთვე საბორტო ტექნიკურ დოკუმენტაციაზე მუშაობას.

გუშინ კომპლექსის ბორტზე სამედიცინო გამოკვლევის მორიგი დღე იყო. ელექტროკარდიოგრამა და სარეგისტრაციო აპარატურის „პოლინომ-2 მ“, „რეოგრაფის“, „ბეტას“ მეშვეობით სწავლობდნენ, თუ რა გავლენას აძლენს დაზარებული ფიზიკური დატვირთვა კოსმონავტთა სისხლის მიმოქცევაზე. მოეწყო აგრეთვე ყველა ბიოელექტრული აქტიურობისა და სუნთქვის პარამეტრების კვლევა.

სამედიცინო შემოწმების შედეგებს თანახმად, ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

„სალუტ-6“ სადგურისა და „სოიუზ-34“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

18 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა როლს „სახალხო მეურნეობის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების საქმეში.

ინფორმაცია დაგეგმვისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების ცვლილებებით გათვალისწინებულ ძირითად საკითხებზე გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვმა. გაიმართა ფართო აზრთა გაზიარება.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. პ. კირილენკომ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიღებული დადგენილებანი ასახავენ პარტიის იმ ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების თანამიმდევრულობას, რომელიც XXIII, XXIV, XXV ყრილობებმა შეიმუშავეს მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით. მათი საფუძველია სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები.

დადგენილებანი შეიცავენ იმ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ დაგეგმვისა და ეკონომიკის მართვის სრულყოფას, სახელმწიფო გეგმის როლის გაძლიერებას და ამავე დროს — დემოკრატიული საწყისების, შრომელთა კოლექტივების უფლებათა გაფართოებისა და საკუთრებაზე, ეკონომიკაზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირების, შრომითი კოლექტივების მზარდი როლი-საგეგმო დავალებათა შემუშავებასა და შესრულებაში, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, ეკონომიკური მშენებლობის ყველა უბანსა და ყველა დონეზე პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

თათბირის მუშაობის დროს აღინიშნა, რომ ზემოხსენებულ დადგენილებათა რეალიზაციისათვის მუშაობა უნდა დავუკავშიროთ 1979 წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებას, სოციალისტური შეჯიბრების, მშრომელთა ინიციატივის განვითარებას, რასაც „იდეა უფრო ფართო გასაქანი მიეცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელების შეიგგად.

საჭიროა აქტიურად გამოვიყენოთ პრესის, ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებათა ძალა, რათა გაჩაღდეს საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

აღინიშნა, რომ მიმდინარე მოვლენების გაშუქებაში საჭიროა მეტი აქტიურობა და ოპერატიულობა, მეურნეობის გაძღოლის საუკეთესო ნიმუშებისა და მრეწველობის, მშენებლობისა და სხვა დარგების ახალი მიღწევების ჩვენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსავლის აღებისა და დაცვა-შენახვის, სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებათა შესრულების საკითხების გაშუქებას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ბ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ა. რ. რეთეი სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები.

ᲪᲣᲗᲘᲗᲚᲔᲓᲘ, ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ!

რითველი კარგია!

გადაამარგონ შარშანდელ მიჯნას, მოკრიფონ შემოდგომაზე რეკორდული მოსავალი — 580 ათასი ტონა ყურძენი — ასეთი ამოცანა დაისახეს ქართველმა მეენახეებმა. იმას, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ამოცანის შესრულება, გარკვეულად მოწმობს ენახების დათვალიერების შედეგები, რომელიც რესპუბლიკის 43 რაიონში მოეწყო.

— ვიდრე გაცნობებდეთ დათვალიერების შედეგებს. — უთხრა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. ზაუტაშვილმა, — რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ, თუ როგორ სრულდებოდა ყურძნის მოსავლიანობის სახელმწიფო დავალებები ბოლო წლებში. მაგალითად, 1976-1978 წლებში მევენახეებმა სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 1.395.000 ტონა ყურძენი, სულ კი სახელმწიფო მარნმა მიიღო 1.272.000 ტონა. წელს მევენახეთა წინაშე დგას ამოცანა, შეამჩნიოთ სხვაობა.

ამ მიმართულებით ღონისძიებებს ეტაპობრივად ეახორციელებდით, „საქსასოფლტექნიკასა“ და რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მოეწყო სამთვიური, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნა ენახების გულმოდგინე მოვლა, განისაზღვრა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტექნიკის მზადყოფნა. შემდეგ წლის დამდეგიდან ორჯერ მოეწყო ენახების მდგომარეობის შედარაადონური დათვალიერებანი. და ბოლოს კამპანია დასრულა საზოგადოებრივი და საკარმიდამო ენახების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ. მისი მიზანი იყო — შეგვემოწმებინა, თუ როგორ აღმოიფხვრება შემოწმების წინა ეტაპების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებები, განგვეესზღვრა მომავალი მოსავლის მასშტაბი. განგვეზორციელებინა ვაზის მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები.

პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოთა აქტიურმა მზრდაჭერამ საზოგადოებრივ მეურნეობებს საშუალება მისცა სამუშაოები შეესრულებინათ მაღალ დონეზე და საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. მაგალითად, მწკრივთაშორისების კულტივაცია ორჯერ მოეწყო 85.703 ჰექტარ ფართობზე, ხოლო სამჯერ — 55.541 ჰექტარზე.

დათვალიერებისათვის კარგად მოემზადნენ და ენახების მოვლის მაღალი კულტურა გამოავლინეს გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, წითელწყაროს, თელავის, საგარეჯოს, ბოლნისის, ხესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ვანის რაიონების მეურნეობებმა.

მაგრამ ცალკეული მეურნეობები დათვალიერებას ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ. მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მწვანე ოპერაციების ჩატარებაში თეთრი წყაროს, თელავის, სიღნაღის, ლუმეთის, თერჯოლის რაიონების, ქალაქ წყალტუბოს ზონის, სამხრეთ ოსეთის მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

დათვალიერებისას დიდი ყურადღება დაეთმო ენახების სიმეჩხრის მდგომარეობის შესწავლებულებათა ქსელის გასაფართოებლად. ახლა კოლმეურნეობებს საწარმოო-საფინანსო გეგმით 600 ათას მანეთზე მეტი აქვთ გათვალისწინებული ბაღების მშენებლობისა და მათი შენახვის ხარჯებისათვის, ამ საქმეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი კახათის, ორჯონიკიძის, რუხის, ჭითაწყაროს, შამგონის, ნარაზენის, ინგირის, ოქტომბრის, კორცხელის — სულ რაიონის 19 კოლმეურნეობამ, რომლებიც ბავშვის საერთაშორისო წელს ნორჩების მოუძღვნიან სამავშვო ბაღების ლამაზ ტიპურ შენობებს თავისი ინვენტარ-მოწყობილობით. სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის მუშაობენ ორსანტიის, ამასთუმნის, დარჩელის, განმუხურის, ჩხორიის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები.

სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ნარმანია გვეუბნება: ბავშვის საერთაშორისო წელს რაიონის ხელმძღვანელობას დიდი საზრუნავი აქვს. მათ მიერ აშენებულ და კეთილმოწყობილ ბაგა-ბაღებში 1700-მდე ბავშვი იკლის, ისინი უზრუნველყოფილ იქნებიან კარგი კვებით, ფართობით, დასვენებით, კვალიფიციური პედაგოგებით. გვაქვს პრეტენზიებიც სავაჭრო ორგანიზაციების მიმართ: რაიონის მაღაზიების კულტსექტორებს არ გააჩნიათ სახატავი ფურცლები, ფანქრები, აკვარელი, გუაში და სხვ. რაიკოოპერატივის სისტემაში იშვიათად შემოაქვთ სასწავლო დიდაქტიკური თვალსაჩინოების მასალები. გონებრივი განვითარებისათვის საჭირო საშენი და კონსტრუირების მასალები.

ჯერჯერობით ვერ გადაწყდა სკოლამდელი ასაკის ბავშვების თამაშთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც სკოლაში სწავლისათვის ბავშვის კარგად მომზადების მეტად სერიოზული წინამძღვარია. სკოლამდელი ასაკის ბავშვი სიუჟეტურ-შემოქმედებითი და მოძრავი სათამაშოების სამყაროში ცხოვრობს და, ვინაიდან ღარიბია სათამაშოების ასორტიმენტი, ეუიმმამა ბაღში სკოლამდელთა ყოფაც. ბოლოს და ბოლოს, უნდა მოგვარდეს ეს საქმე. რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას სათამაშოების რიგიანი ფაბრიკა.

ი. ქორთუა, „ბეჭრძოლის“ რედაქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი; პ. ფიფია, პარტიის ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორი; ვლ. მაკნია, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე; ბ. ნოდია, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

სექტემბერი შორს როდია: სასკოლო მშენებლობებზე

გასა

მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი შესწავლისათვის

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყების გამო

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ იბრძვის 1979 წლისა და მთლიანად მეათე — ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის შემდგომი ზრდისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

მთელ თავის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობაში პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმით. კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის შეგნების, შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ამაღლება მას მიაჩნია კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით განხორციელების გადამწყვეტ პირობად. კომუნისტური აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვის ახალი გამოვლინება გახდა დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის არსი ის არის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს ჩამოვუყალიბოთ მეცნიერული მსოფლმხედველობა, ჩავუნერგოთ პარტიის საქმის, კომუნისტური იდეალების უსაზღვრო ერთგულება, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. ამ ამოცანის გადაწყვეტაში წამყვანი როლი განეკუთვნება მარქსიზმ-ლენინიზმს.

მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი შესწავლა საბჭოური ცხოვრების წესის დამახასიათებელი ნიშანი გახდა. განვლილ სასწავლო წელს პარტიული სწავლების სისტემაში მეცადინეობდა 22 მილიონზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი, კომკავშირულ პოლიგანათლებაში — 8 მილიონი ახალგაზრდა მშრომელი, 40 მილიონზე მეტი მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე სწავლობდა ეკონომიკური განათლების სისტემასა და პროპაგანდის მასობრივ ფორმებში. ისინი სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების დოკუმენტებს, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და მსოფლიო სარბიელზე იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებს, მის წიგნებს „მცირე მიწას“, „აღორძინებასა“ და „ყამრის“. მსმენელთა დაახლოებით 70 პროცენტი იუფლებოდა ახალ კურსებს — „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტიური საკითხები“.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო კომუნისტებს და ყველა მსმენელს ღრმად გაეგოთ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ — და ეს აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — რომ პარტიული და კომკავშირული სწავლების, ეკონომიკური განათლების ორგანიზაციაში, პროპაგანდის მასობრივ ფორმებში არის არცთუ ცოტა არსებითი ნაკლი და სისუსტე. ბევრ შემთხვევაში შეცდარებულია კომუნისტებისა და კომკავშირელების ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა რევოლუციური თეორიის საფუძვლიანი და შემოქმედებითი შესწავლისათვის, დაძლეული არ არის ფორმალიზმი და მედავითნეობა, მეცადინეობის ხარისხი ყოველთვის არ შეესაბამება მსმენელთა განათლებისა და კულტურის მაღალ დონეს.

ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ხარისხისა და ქმედითობის ამაღლების დიდი რეზერვია. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ამოცანები, რომ პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური დაწესებულებების, პროპაგანდისტთა კადრების მთავარი ყურადღება დაეთმოს პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი მეცნიერული დონის უზრუნველყოფას, მათი ქმედითობისა და კონკრეტულობის გაძლიერებას, ცხოვრებასთან, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებლობის ჩანერგვასთან კავშირის განმტკიცებას.

„რევოლუციური თეორიის, პარტიის პოლიტიკის ცოდნა, — ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — საბჭოთა ადამიანებს უნდა გადაექცეთ რწმენად, კომუნიზმისათვის, უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად, განვითარებული სოციალიზმის აქტიური ბრძოლა ეროვნულ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა. თანამედროვე ხელმძღვანელისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება კომუნისტური მსოფლმხედველობის ურთთულესი ამოცანების კომპეტენტური გადაწყვეტის უცილობელი პირობა, დროის მოთხოვნაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში, ისევე როგორც წინა წლებში, შეისწავლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის, იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ საკითხებს, ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას, მეცნიერულ კომუნიზმს, სკკპ ისტორიას, აგრეთვე სამმართველო შრომისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის პრობლემებთან დაკავშირებულ ეკონომიკის კურსებს. მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები, რომლებიც მსმენელებს უმაღლეს პოლიტიკურ განათლებას აძლევენ, პროპაგანდისტების, ლექტორების, იდეოლოგიური აქტივის სხვა რაზმების, განსაკუთრებით სასოფლო-პარტიული ორგანიზაციების რაზმების მომზადების ბაზად რჩება. აშასთანავე ეზრდება მათი როლი ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა, შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეური წრთობის საქმეში.

ახალი სასწავლო წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უზრუნველყოს სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, აგრეთვე „დაგეგმვის გაუმჯობესების და წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ფართო განმარტება და შესწავლა. ამ დადგენილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მთელი პოლიტიკური ცხოვრებისათვის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ამის გამო ეკონომიკური განათლების სისტემაში, პარტიული სწავლების ეკონომიკის სემინარებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების შესაბამის განყოფილებებზე აუცილებლად უნდა მოვაწყოთ სპეციალური მეცადინეობები. ამ დადგენილებათა იდეები და კონკრეტული მითითებანი ორგანულად უნდა შედიოდეს მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის ყველა სასწავლო კურსის შინაარსში, რომლებიც ეხება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის, მართვის, დაგეგმვის, განაწილებისა და სტიმულირების საკითხებს.

მეურნეობრიობის მექანიზმის შემდგომი სრულყოფის პრობლემები და გზები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტების, მშრომელთა ფართო მასების ღონმა შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ამ თემების შესწავლა ხელს შეუწყობს შრომითს კოლექტივებში საქმიანი ვითარებისა და პარტიის შიერ დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის პასუხისმგებლობის ფორმირებას, მშრომელთა შემოქმედებითი მეცადინეობის გააქტიურებას ეკონომიკური ზრდის შინაგანი რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებაში.

მუშებისა და კოლმეურნეებისათვის ეკონომიკური განათლების სისტემაში რეკომენდებულია კურსები „სოციალიზმი და შრომა“ და „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების მოწინავე გამოცდილება“. კომუნისტური შრომის სკოლებისა და სწავლების სხვა მასობრივი ფორმების მსმენელთათვის, რომლებმაც უკვე შეისწავლეს ეს კურსები, მიზანშეწონილია მოეწყოს მეცადინეობანი პროგრამით, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენენ ვ. ი. ლენინის ნაშრომები „დიდი თაოსნობა“, „რა ოდენ ოფლაწყოთ შეჯიბრება?“ და წარმოების მოწინავეთა გამოცდილება.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, მართვის ყველა რგოლის ხელმძღვანელები კვლავ სწავლობენ კურსებს — „საინჟინრო შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში“, „ხელმძღვანელის შრომა“, „პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვის მოწინავე გამოცდილება“, „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მოწინავე გამოცდილება“, „ბრიგადული იჯარა სამეურნეო ანგარიშის ფორმაა“. იქ, სადაც ამ საგნების შესწავლა უკვე დამთავრდა, ეკონომიკური განათლების სისტემაში რეკომენდებულია „სკკპ ეკონომიკური პოლიტიკა“ და „სკკპ აგრარული თეორია და პოლიტიკა“.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად აამაღლონ მშრომელთა ეკონომიკური განათლების ხარისხი, გააძლიერონ ფლებოდნენ, როგორც მოქმედების სახელმღვანელოს. უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ინდივიდუალური კონსულტაციები, მუდმივმოქმედი სემინარები, რათა შევაიარაღოთ პროპაგანდისტები პედაგოგიკისა და სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნით, მუშაობის აქტიური ფორმებით და კონტრპროპაგანდის მეთოდებით.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ განათლებას დიდი დახმარება უნდა გაუწიონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებმა — პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ. ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების, სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხების, საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების, მსოფლიო სარბიელზე იდეოლოგიური ბრძოლის ყოველმხრივი გაშუქება დაეხმარება მსმენელებს, რომ ორმაგ აითვისონ მარქსისტულ-ლენინური თეორია და პარტიის პოლიტიკა.

პროპაგანდისტებთან მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მათს რეგულარულ ინფორმირებას თანამედროვეობის, რეპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, ქალაქებისა და რაიონების პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები სისტემატურად უნდა ხედიოდნენ პროპაგანდისტებს, თავიანთ მნიშვნელოვან მოვალეობად უნდა მიიჩნიონ ეს, შეგნებული უნდა ჰქონდეთ ასეთი შეხვედრების მნიშვნელობა მთელი აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

უკრაინაში, მაგალითად, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით სექტემბრის უკანასკნელ შაბათს მოეწყობა „პროპაგანდისტის დღე“. პროპაგანდისტებს შეხვდებიან პარტიის ვეტერანები, ხუთწლედის გვარდიელები, სამეცნიერო და შემოქმედითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მოეწყობა საუკეთესო პროპაგანდისტთა სტენდები და სპეციალური დაფები. ეს დღე მარქსისტულ-ლენინური განათლების მთელი საქმის დაყენებისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დათვალიერების ტრადიციულ დღედ დამკვიდრდება. ასეთი ინიციატივა მოწონებისა და ფართო გავრცელების ღირსია.

პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებაში არსებითი წვლილი უნდა შეიტანონ სამინისტროებმა, უწყებებმა და სამეურნეო ორგანოებმა. პოლიტსკოლებისა და სემინარების მეცადინეობათა მოწყობისათვის, პროპაგანდისტის სწავლებისათვის საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში საჭირო პირობების შექმნა, მათი შრომისადმი ყოველდღიური ყურადღება, შრომითი კოლექტივების მიერ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საჭირო კონკრეტული მასალებით უზრუნველყოფა გაზრდის პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ქმედითობას.

პოლიტიკური განათლების ორგანიზაციის საქმეში წარჩინებული არ არსებობს. სასწავლო წლის დამდეგისათვის რომ ემზადებიან, პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გულმოდგინედ გაერკვნენ სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების ხარისხში, მეცადინეობისათვის მუდმივი შენობების მომზადებასა და აღჭურვაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დასაუფლებლად ნაყოფიერი მუშაობისათვის ყოველივე საჭიროთი მსმენელთა უზრუნველყოფაში.

მარქსისტულ-ლენინური სწავლება, რომელიც რევოლუციური თეორიით აიარაღებს კომუნისტებსა და უპარტიო აქტივს, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მთელი ცხოვრების წესზე, ადამიანების აზროვნებასა და ყოფაქცევაზე, ხელს უწყობს არსებულ ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრას, ზრდის მშრომელთა სოციალურ პასუხისმგებლობას, პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიულ ორგანიზაციებსა და იდეოლოგიურ კადრებს მიზნად დაუსახა ძირეულად გააუმჯობესონ მარქსისტულ-ლენინური განათლება და გაზარდონ მისი შედეგიანობა. ამ დადგენილების განხორციელება ხელს შეუწყობს მასებში მთელი იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, რომლის მიზანია მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულება, ლენინის იუბილეს და სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრა.

„პრავდა“, 1979 წ. 12/VIII.

მშვიდობა, პროგრესი, მეცნიერება

12 აგვისტოს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის XI მსოფლიო კონგრესი. აქტუალური პოლიტიკური პრობლემების განხილვისათვის აქ ჩამოვიდა 50-ზე მეტი ქვეყნის 1.500 მეცნიერი.

ასოციაცია, რომელიც წელს ოცდამეათე წლისთავს აღნიშნავს, პირველად მართავს ფორუმს სოციალისტურ სახელმწიფოში. კონგრესზე განიხილავენ სამ ძირითად თემას: „მშვიდობის პოლიტიკა“, „სისტემათა განვითარებისა და შეცვლის პოლიტიკა“, „პოლიტიკური ცოდნის დაგროვება 1949 წლიდან“.

კონგრესი გახსნა პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის სამოგრამო საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარემ რიჩარდ მერიტმა (აშერიკის შეერთებული შტატები).

ფორუმის მონაწილეები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას. მისალმების ტექსტი წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა.

შემდეგ აკადემიკოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფუძემდებლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პოლიტიკური ფოვლენებს, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების არსებითი ნაწილის, სისტემაგადამდენ ძალად. ვ. ი. ლენინმა „მარქსიზმი“ — ამბობდა ის, — ... ეწოდებოდა ... ეფექტიანობა ... ეფექტიანობა ... ეფექტიანობ

საერთაშორისო ცხოვრება
ფოტოინფორმაცია
„კომუნისტის“ მიმოხილვა

ფოტოინფორმაციის ჩვენებანი

კოსმოსური კვლევა

მეექვსე თვე ორბიტაზე

ხუთ თვეზე მეტია კოსმოსში ფრიმშობენ ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი. თებერვლის ზამთრის საღამოს აიღეს მათ სტარტი ბაიკონურიდან. გავიდა გაზაფხული, ზაფხულიც იწურება. მივლინება კი ჯერ ისევ გრძელდება. რეისში რომ მიდიოდნენ, მათ იცოდნენ, თუ რა ხანგრძლივი იქნებოდა კოსმოსური მარათონი, იცოდნენ, რომ მათ უნდა გადაელახათ რეკორდული 140-დღეღამიანი მიჯნა, რომელსაც მათმა წინამორბედებმა და მეგობრებმა ვლადიმერ კოვალიონოკმა და ალექსანდრე ივანჩენკოვმა მიაღწიეს. ამიტომაც ემზადებოდნენ საგულდაგულოდ.

პირველ კვირაში მათ, ისევე როგორც ყველას, ვინც კოსმოსში ყოფილა, გაუჭირდათ. თავი დაუმძიმდათ, ყოველი მოძრაობა ტკივილს იწვევდა, იღლებოდნენ. მაგრამ იცოდნენ, რომ ეს დროებითია. უნდა დაძლიო თავი. და გავსუნდება მედიკოსთა გაკვირვება აქ, მართვის ცენტრში, როცა კოსმონავტებმა უკვე მესამე დღეს მოითხოვეს დღის რეჟიმში შეეტანათ ფიზკულტურა. ჩვეულებრივ ამას მეხუთე-მეექვსე დღეს ითხოვენ ხოლმე, როცა სუსტდება პირველადი რეაქცია უწონობის პირობებზე.

რაღაც მიზეზის გამო კოსმონავტების გულიანი სიცილი მართვის ცენტრში მეორე კვირის დამლევს გაიგონეს, და მიხვედნენ, რომ ახლა სადგურში სრული წესრიგი იყო. მარტის დამდეგს ლიახოვი და რიუმინი შეხვდნენ მათთვის პირველ და საერთო ანგარიშით მეხუთე „პროგრესს“. „სალიუტ-6“ სადგურს საფუძვლიანი რემონტი სჭირდებოდა. იმ დროისათვის მას უკვე წელიწადნახევარი ემუშავა და ექვსი ეკიპაჟი მიიღო. სატვირთოს მიჰქონდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო რემონტისათვის.

შემდეგ კი დაიწყო ექსპერიმენტები. ახლა უკვე ძნელია იმის გაახგარიშება, რამდენჯერ მოუხდათ მათ როგორც ვიზუალურად, ისე ფოტოკამერებით იმ მარშრუტის გავლა, რომელიც მათ კოსმოსურ სტარტამდე რამდენიმე თვით ადრე ტუ-134 თვითმფრინავით გაიარეს. მარშრუტი კი ასეთი იყო: მოსკოვ-ირკუტსკ-ქიმჩაკა-ფუშანე - ასტრახან-მოსკოვი. ცაში გზას მაშინ 38,5 საათი დასჭირდა. კოსმოსში მანძილი წუთებამდე „შემჭიდროდა“. კოლომტრიანი ფირნების ამანათი უკვე გაიგზავნა დედამიწაზე „სოიუზ-32“ სადგურით, დაკვირვება გრძელდება.

ერთი თვის ფრენის შემდეგ ლიახოვი და რიუმინი იღებდნენ თავიანთი კოსმოსური ბოსტნის პირველ მოსავალს. მაშინ მათ და თესეს ხახვი, კამა, ოხრახუში, კიტრი. ყველაფერი კარგად როდი ხარობს კოსმოსში, მაგრამ ცოტა-ოდენი მწვანილი მაინც ჭამონდათ სუფრაზე.

„პროგრეს-5“ სადგურმა ჩამოიტანა დამატებითი სამეცნიერო მოწყობილობა: გამა-ტელესკოპი, დანადგარი „კრისტალი“. ფრენა მეცნიერთა მიერ მომზადებული პრეპარატებიანი ამპულები. ასე რომ, კოსმონავტებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ. აპრილში კი დაიწყეს მზადება სტუმართა დასახვედრად. ელოდნენ ნიკოლოს რუკავიშნიკოვსა და გიორგი ივანოვს, მაგრამ იოლი გზა კოსმოსში არ ესხებობს. შეპირაპირება ვერ მოხდა და საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივი ექსპერიმენტების ნაწილიც ლიახოვმა და რიუმინმა იკისრეს. მაგრამ ეს უფროსმოგვიანებით იყო, მეექვსე სატვირთოს შედეგს.

ფრენის მეორე თვის დამლევს სადგურში პირველად აკიაფდა ტელევიზორის ეკრანი, რამაც საშუალება მისცა კოსმონავტებისთვნახათ ისინი, ვინც იყო მართვის ცენტრში.

ფრენის დროს კიდევ ორჯერ განიტვირთა „პროგრესები“, შეიცალა სატრანსპორტო ხომალდი, შემდეგ კი მოხდა ხელახალი შეერთებაც. და ბოლოს, რადიოტელესკოპის ძალზე რთული მონტაჟი. და ყველაფერი ეს განუყვეტელი მეცნიერული ექსპერიმენტების „ფონზე“ ხდებოდა.

მიუხედავად ამისა, ყოველდღე ორ საათ-ნახევარს კოსმონავტები უნდებიან ვარჯიშს ველოერგომეტრზე და მრბილ ბილიკზე. ორასამი კილომეტრი — რბენა, დაახლოებით ორი კილომეტრი — ფეხითა. ამას ემატება. ვარჯიში ერგომეტრზე, ძმაბე ბეთ და დასატვირთი კოსტიუმი „პინგვინი“, რომელიც დღე-ღამეში სულ ცოტა ათ-თორმეტ საათს უნდა ატარონ.

— ასე რომ გვეკარჯიშა დედამიწაზე, — თქვა რიუმინმა, — დიდი ხანია სპორტის ოსტატები ვიქნებოდით.

— კოსმოსურ სტადიონზე ბერონა ჰაერზე უბრალო ვარჯიში ნუ გგონიათ.

— ოფლი წურწურით ჩამოგვდის, ჯოჯოხეთური, ძმაბე მუშაობა, — ამბობს ივანჩენკოვი. — რომ მაგონდება, ცუდად ვხდები. მაგრამ წაიზარმაცებ თუ არა, აშინვე ენება კუნთები, თავს ცუდად გრძნობ.

ეტყობა ლიახოვისა და რიუმინის დიდი შრომისუნარიანობის ერთადერთი საიდუმლო სწორედ ის ყოფილა, რომ არც ერთი წუთით არ დუნდებიან.

ჯერ კიდევ ფრენის მეცხრე დღეს რიუმინმა კოვალიონოკთან საუბრისას თქვა:

— ისევე როგორც დედამიწაზე, 83 კილოგრამსა და ექვსას ორმოცს ვიწონი. არც ერთი გრამი ნაკლებ მომკლებია.

— და აი სამი თვის შემდეგ მეცხრე კვლავ ადასტურებს: რიუმინს წონა არ შესცვლია, მეთაური კი მართალია ცოტა გახდა. ოფლიანობა ელექტროკარდიოგრამა, ენცეფალოგრამა და სხვა ნორმის ფარგლებშია. ფრენა გრძელდება.

მ. ჩერნიშოვი,
(ზრენის მართვის ცენტრი).

რედაქციას უპასუხებენ

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თერჯოლის რაიკომმა განიხილა წერილში — „პატარუბზე ფიქრით“ — დასმული საკითხები („კომუნისტი“ 5 ივნისი)

წერილში საუბარი იყო თერჯოლის რაიონში საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის მდგომარეობის, მათი მომარაგებისა და სხვა საკითხებზე.

პარტიის რაიკომის მდივანი ა. ბურჯანაძე გვიპასუხებს, რომ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა სკოლამდელი დაწესებულებების სურსათით მომარაგება. ბაგა-ბაღები სისტემატურად მარაგდებიან საჭირო სურსათით, მათ შორის ნატურალური რძით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ბაგა-ბაღებში სურსათის შეუფერხებელი გადაზიდვისათვის დამატებით გამოყო ერთი მოტოროლერი.

რაიონში აღირიცხა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა, შედგა მათთვის საბავშვო ბაგა-ბაღების აშენების გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად წარვუდგინეთ საქართველოს სსრ განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს.

ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღი გაიხსნა სოფელ ნაგარევში. დამთავრდა და პირველი სექტემბრიდან საექსპლოატაციოდ გადაეცემა ზედა სიმონეთის საბავშვო ბაღი. დაბა თერჯოლაში წელსვე აშენდება 140-ადგილიანი ბაგა-ბაღი; მალე დაიწყება სოფელ ალისუბნის საბავშვო ბაღის მშენებლობაც.

მომდინარე რემონტი ჩაუტარდა თუშს, ჩხარის, მეტლახის საბავშვო ბაღებს.

პარტიის თერჯოლის რაიკომს საჭიროდ მიაჩნია დასვას საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ბაგა-ბაღების შეუფერხებელი მომარაგებისთვის დამატებით გამოყოს ორი ფურგუნინაი მსუბუქი ავტომანქანა და ოთხი მოტოროლერი.

ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამმართველო — „საქმთავარენერგო“

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ელექტრომომარაგებაში არსებული ნაკლოვანებების თაობაზე იყო საუბარი წერილში „ხან ანთებს, ხან არა“ („კომუნისტი“ 6 აპრილი).

„საქმთავარენერგოს“ უფროსის მოადგილე ი. ლორია გვაცნობებს, რომ საკითხი შემოწმდა და დადგინდა, რომ წერილში გამოთქმული კრიტიკა სამართლიანია.

ენერგიის მომარაგებაში შეფერხებები იყო შარშან ნოემბერ-დეკემბერში და მომდინარე წლის იანვარ-თებერვალში. ეს გამოიწვია დიდთოვლობამ და სტიქიურმა მოვლენებმა; ნაწილობრივ შეფერხების მიზეზი იყო ქვესადგურის ტექნიკური მდგომარეობაც, კერძოდ ის, რომ გრიგოლიშის, ჯიხასკარის და ორჯონიკიძის სახელობის სოფლის ელექტროკვება ხდებოდა ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკიდან 10 კილოვოლტი ელექტროგადამცემი საერთო ხაზით.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ცხაკაიას ელექტროქსელების მუშაკებმა იანვარ-თებერვალში მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარეს, კერძოდ, აღნიშნული ჩაის ფაბრიკის ქვესადგურში დამონტაჟეს სამი ულრედი, რათა ყოველი სოფელი მაღალი ძაბვის საკუთარი ხაზით იკვებებოდეს. ეს ღონისძიება თანმიმდევრულად განხორციელდა: ჯერ სოფელ ჯიხასკარს გამოეყო ცალკე მკვებავი ხაზი, ხოლო ივნისისთვის ორჯონიკიძისა და გრიგოლიშის მკვებავი ხაზებიც გაეთიშა, რამაც საგრძნობლად განამტკიცა აღნიშნული სოფლების ელექტრომომარაგების საიმედოობა.

ზემოხსენებული ხაზების გაანალიზების მიზნით მესამე კვარტალში ცხაკაიას ელექტროქსელებისთვის გამოიყო 2 ვაგონი რკინა-ბეტონის საყრდენები და ერთი ტონა ალუმინის სადენი.

გარდა ამისა, „საქმთავარენერგო“ სოფელ ორჯონიკიძის ტერიტორიაზე აპრილებს 35-10 კილოვოლტი სიმძლავრის ქვესადგურს, რომლის აგებაც 1980 წლისთვის არის განსაზღვრული.

სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“

„კომუნისტის“ 19 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „სიტყვას საქმე უნდა ამშვენებდეს“, რომელიც მხილებული იყო ხელვაჩაურის საწარმოო გაერთიანების ზოგიერთ ფაბრიკაში არსებული ნაკლოვანებანი.

ამის გამო სამრეწველო გაერთიანების „საქართველოს ჩაის“ უფროსმა ე. მალაზონიამ რედაქციას აცნობა:

გაერთიანების ხელმძღვანელობამ იმსჯელა ურეხისა და ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკებში გამოვლენილ დარღვევებზე, რომლებზეც სამართლიანად წერდა გაზეთი. ხელვაჩაურის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ზ. ფარტენაძეს და მთავარ ინჟინერს ვ. ფურცელაძეს გამოეცხადათ საყვედური. ამასთან ცნობად იქნა მიღებული, რომ ურეხის ჩაის ფაბრიკის დირექტორი რ. აბაშიძე პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის ბიუროს მკაცრად დასაჯა.

რაც შეეხება ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის საწარმოო სამძლავრეთა ზრდას, უკვე მიღებულია დადგენილება ზემოაღნიშნული საწარმოს რეკონსტრუქციის თაობაზე. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

ერთი წერილის კვალდაკვალ

ტაქსიდან როცა ჩამოვდივართ

ნარის გლეჯა გვინდა, ოღონდ სხვისი ხელით

„პატივცემულო რედაქციავ! თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმ ფაქტს, რომ ქ. ქუთაისსა და განსაკუთრებით წულუკიძეში ძალზე მომრავლდნენ ტაქსების ისეთი მძღოლები, რომლებიც წესსა და კანონს არად დაგიდევენ და თუ ორმაგად არ აუნაზღაურე, ნუ იფიქრებთ ტაქსში ჩაჯდომას.

ამას წინათ ქ. წულუკიძიდან სოფელ ახალბედიისეულამდე მინდოდა გამგზავრება. ტაქსი გავაჩერე და ჩავჯექი. მძღოლს მრცხველის გადართვა შევახსენე, რადგან მასზე უკვე ხუთ მანეთზე მეტი თანხა იყო აღრიცხული. ეს როგორ მაკადრეო, თქვა გულმოსულმა მძღოლმა, მანქანა გვერდით მიაყენა და მითხრა: თუ წაგიყვანთ ახალბედიისეულამდე, კაცის თავზე ორი მანეთი, თუ არა და, სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთო. მე იმ მძღოლის გვარი და სახელი არ ვიცი, რადგან, მანქანაში მისი ვინაობის დამადასტურებელი ფირნიში არ იყო. როგორც ეს სხვა ქალაქებსა და რაიონებშია დაწესებული: ამავე დროს არც ავტომანქანის ნომერი ჩამინიშნავს, რადგან წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, მიდიხარ ცოლოლოს თავმომწონედ, ადექი მანქანას უტრიალე და ნომერი ჩაიწერე, ხომ მოგეჭრა თავი“...

ასეთი წერილი მივიღეთ ამას წინათ ქ. ქუთაისიდან. წერილს ხელს აწერს რუსთაველის ქუჩის №89 სახლში მცხოვრები ვახტანგ ნუცუბიძე. რასაკვირველია, ჩვენ გულგრილნი ვერ დავრჩებოდით სიგნალის მიმართ, მაგრამ ამ კრიტიკულ შენიშვნას აქვს ორი მხარე და სწორედ ამის შესახებ გვსურს გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

ამ ბოლო წლებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მტკიცე და თანამიმდევრული ბრძოლა მიმდინარეობს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, უპირველესად ეს ეხება მშრომელთა მომსახურების სფეროს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე უკონტროლობისა და უყურადღებობის გამო ყველაზე უფრო შეილახა. ავიღოთ თუნდაც ტრანსპორტით მშრომელთა მომსახურების საქმე. აქ ლამის სისტემად იქცა მგზავრთა გადაყვანისათვის ზედმეტი ფულის გადახდევინება.

მკითხველის სიგნალის საფუძველზე ვესტუმრეთ წულუკიძის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორს მ. სულაბერიძეს. მან გულახდილად განაცხადა: „ახლა განსაკუთრებით მტკიცე კონტროლია დაწესებული მგზავრთა კულტურული მომსახურებისადმი. მაქსიმალურ ღონისძიებებს ვახორციელებთ, რათა აღვკვეთოთ მშრომელებისაგან ფულის გამოძალვის ფაქტები. ჩვენს ავტოსატრანსპორტო საწარმოში 36 მსუბუქი ტაქსია, რომლებსაც 72 მძღოლი ემსახურება. მარტო წლეულს სხვადასხვა დარღვევისათვის 64 მძღოლს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, ხოლო მდინარეთა ა. კიწურაშვილი, ვ. კოპალიანი, ი. ჩაკვეტაძე, მ. ქვათელაძე და ა. ფიროსლაკავა გადავიყენეთ მძღოლობიდან სხვადასხვა ვადით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სატრანსპორტო მომსახურებაში უწესრიგობანი კვლავ შეინიშნება. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ზოგიერთი მოქალაქე გულმოწყალებას იჩენს და საკუთარი ჯიბის საზარალოდ პირზე ბოქლომს იდებს. — გამომძალველის მხილებას თავს არიდებს. ბევრია იმის ფაქტიც, რომ სწორედ ასეთი მოქალაქეები კულისებში ამჯობინებენ საუბარს მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა გამო“.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ. სულაბერიძის განმარტებას იმ ნაწილში, თითქოს აქ მაქსიმალური ღონისძიებანი ხორციელდებოდეს დარღვევების აღსაკვეთად. პირიქით, ეს ღონისძიებანი ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათისაა. რა გაჭირდა, თუ გნებავთ, ყველა ტაქსში მძღოლის ვინაობის აღმნიშვნელი ბარათის გამოკვრა, ანდა ყოველთვის არის კი დაწესებული მტკიცე კონტროლი, დარღვევა რომ აღიკვეთოს? რასაკვირველია, არა.

ახლა რაც შეეხება საკითხის მეორე მხარეს. დავუბრუნდეთ ისევ ვ. ნუცუბიძის განცხადებას. წერილში, რომელიც მან ჩვენს redაქციას გამოუგზავნა, მითითებული არ არის არც ავტომანქანის ნომერი და არც მძღოლის გვარი, რადგან, როგორც იგი თვითონვე აცხადებს, ცოლოლოლობას მიმავალს თავი მოეჭრებოდა, ზედმეტი ყურადღება რომ გამოეჩინა და ნომერი დაეხსომებინა, გაა ამით დიდ დახმარებას არ გაუწევდა შესაბამის ორგანოებს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაში? ჩვენ კარგად ვიცით, რომ დარღვევები და უწესრიგობანი მშრომელთა მომსახურების სფეროში კვლავ გრძელდება, მაგრამ თუ თითოეულმა ჩვენგანმა აქტიური, პრაქტიკული მონაწილეობა არ მივიღეთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, ისე საქმე არ გამოვა, სხვისი ხელით ნარის გლეჯით ფონს ვერ გავალთ.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

13 აგვისტო

ლონდონი, დიდი ბრიტანეთის საამშენებლო მრეწველობა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. გარემოს საკითხების სამინისტროს ანგარიშში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში სახპინაო მშენებლობის მოცულობა ქვეყანაში უკანასკნელი 30 წლის ყველაზე დაბალ მაჩვენებლამდე დავიდა. წლეულს მარტო მუნიციპალური საცხოვრებელი სახლები 35 პროცენტით ნაკლები აშენდება, ვიდრე შარშან.

ბეირუთი. პალესტინის პრობლემა უდევს საფუძვლად ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს და ამიტომ მის უგულებელყოფას არ შეიძლება მოჰყვეს ამ რეგიონში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება. განაცხადა გაზეთ „ალ-ანბასათვის“ მიცემულ ინტერვიუში პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის გენერალურმა მდივანმა ჯორჯ ხაბაშმა.

იმპერიალიზმი და სიონიზმი ეგვიპტის პრეზიდენტ სადათის დახმარებით, ხაზგასმით აღნიშნა მან, ცდილობენ პალესტინის არაბ ხალხს თავს მოახვიონ პალესტინის პრობლემის გადაჭრის კაპიტულანტური ვარიანტი, ეს პროექტი ფაქტიურად ნიშნავს პალესტინის მთელ ტერიტორიაზე სიონისტური ბატონობის დამყარებას.

მანაგუა. მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს გიამართება თავისუფალი ნიკარაგუას გლეხთა I ყრილობა. განაცხადა აქ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშათა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ედგარდო მასიასმა (სომოსას დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იგი ცნობილი იყო ხულიო როდრიგესის ფსევდონიმით).

ე. მასიასმა ხაზი გაუსვა, რომ მომავალი ფორუმის დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია გლეხების მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის პროცესში, რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში.

ტოკიო. იაპონიის პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ხოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს. კრება გაიმართა აზიაფრიკის ქვეყნების სოლიდარობის იაპონიის კომიტეტისა და იაპონის ბუნებისმეტყველთა კომიტეტის ინიციატივით. კრებაზე გამოსულმა ორატორებმა დაგმეს იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და ჩინეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკა, რომელთაც დიდი ხანია ჩაფიქრებული აქვთ ჩაერიონ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

ლუსაკა. ზამბიის პრეზიდენტი კ. კაუნდა მიესალმა ნიგერიის მთავრობის გადაწყვეტილებას ქვეყანაში არსებული ინგლისის ნავთობის კორპორაციის „ბრიტიშ პეტროლეუმის“ საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ. ეს ნაბიჯი, თქვა მან ლუსაკაში გამართულ მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას, პრაქტიკული პასუხია ინგლისის მთავრობის ზლიქვნელურ პოლიტიკაზე აფრიკის მიმართ. ინგლისი, აღნიშნა პრეზიდენტმა, ნავთობს, რომელსაც ნიგერიიდან იღებდა, აწვდიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, რომელიც განაგრძობს აპარტეიდისა და აფრიკელთა ჩაგვრის პოლიტიკას.

ვაშინგტონი, 11 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 28 წევრმა პრეზიდენტ ჯ. კარტერს გაუგზავნა წერილი და მოუწოდა ხელი აიღოს ეგრეთ წოდებული „სწრაფი რეაგირების კორპუსის“ შექმნაზე, რომელიც სპარსეთის ყურის რაიონში შეიარაღებული ჩარევისათვის არის გათვალისწინებული.

კონგრესმენებს საჭიროდ მიაჩნიათ „გადაჭრით იმოქმედონ ნებისმიერი ასეთი სამხედრო ავანტიურის“ წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების „დაცვის“ სბაბთი 110 ათასი კაცისაგან შემდგარი საექსპედიციო კორპუსის შექმნას უკანასკნელ ხანს ფართოდ იხილავენ ამერიკის ოფიციალური პირნი და პრესა. პენტაგონის სტატეგებს განზრახული აქვთ, „საგანგებო მდგომარეობის“ დროს იგი სწრაფად გადაისროლონ ამ რაიონში ნავთობის სარეწების ოკუპაციისათვის, საიდანაც შემოდის იმ ნავთობის 30 პროცენტზე მეტი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები იმპორტის სახით იღებს. ამავე მიზნით, იგეგმება ინდოეთის ოკეანეში გაიზარდოს ამერიკის სამხედრო ხომალდების რიცხვი და შეიქმნას აქ ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმოქმედი მე-5 ფლოტი.

სამხედრო ჩარევის გეგმების შემუშავებას თან ახლავს ხმაურიანი — პროპაგანდისტული კამპანია ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის არაბი წევრების წინააღმდეგ, რომლებსაც შეეთვლებულ შტატებში ახლანდელ ეკონომიკურ სიძნელეებს აბრალებენ. ლაპარაკია იმაზეც, რომ ოპეკის ქვეყნებს შანტაჟის მიზნით შეუწყვიტონ სურსათის მიწოდება, „ეს იდეა, — წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, — სერიოზულ ყურადღებას და გულდასმით განხილვას იმსახურებს, ვინაიდან, თუ ოპეკის ქვეყნებს შიმშილის მარწუხში გამოვამწყვდევთ, ამან შეიძლება დიდი დივიდენდები მოუტანოს შეერთებულ შტატებს.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსებს ესმით, თუ რაოდენ სახიფათოა ვაშინგტონის მიერ არჩეული კურსი. ასეთ „სამხედრო ავანტიურიზმის პოლიტიკას“ შეუძლია კიდევ უფრო გაამწვავოს დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში, აღნიშნულია კონგრესმენთა წერილში.

ინტერფლუგის დედაქალაქში

ნიკარაგუის დედაქალაქში მოდიან თვითმფრინავები და მოაქვთ სურსათი, მედიკამენტები და ტანსაცმელი ბევრი ქვეყნიდან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს დაეხმარონ ამ ქვეყნის ხალხს სწრაფად დაძლიოს ომით გამოწვეული ნგრევა-გაჩანაგების შედეგები.

სურათზე: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოსული თვითმფრინავის გადმოცლა მანაგუის აეროპორტში.

„კომუნისტის“ მიმოხილვა

მსოფლიო გასულ კვირას

● საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ● *კონფლიქტი ლიკვიდირებულია* ● სეპარატისტთა აგონია ● *კუდზურული* რევოლუციის მსხვერპლთა ბედი ჩინეთში

ვაშინგტონი მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა სტაბილური ინტერესი სოციალიზმის სამყაროსადმი უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ მხრივ გამონაკლისს არც გასული კვირა წარმოადგენდა. ამჯერად საერთაშორისო წრეების აყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მომმე სოციალისტურ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან შეხვედრების შედეგები. სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მიმომხილველებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს უკვე ტრადიციად ქცეული ამკვარი შეხვედრები მიაჩნიათ საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელსაც თავისი პოზიტიური წვლილი შეაქვს ევროპასა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის პროცესის შემდგომი გაღრმავების საქმეში. სწორედ ასეთ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე ზუსტდება და იხვეწება სოციალისტური ბანაკის საერთო სტრატეგია, რომლის შედეგადაც მსოფლიო იღებს ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს და იჩენს ინიციატივებს, — აღნიშნავენ სპეციალისტები.

ბახულ კვირას საერთაშორისო დაძაბულობის ერთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან კერას მოეღო ბოლო აფრიკის კონტინენტზე — ალჟირში დაიდო შეთანხმება მავრიტანიასა და პოლისარიოს ფრონტს შორის. მავრიტანიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ „მას არა აქვს და არც მომავალში ექნება ტერიტორიული ან სხვა ხასიათის პრეტენზიები დასავლეთ საჰარის მიმართ“. თავის მხრივ, ანალოგიური პირობა დადო პოლისარიოს ფრონტმაც.

სამხედრო კონფლიქტს მავრიტანიასა და პოლისარიოს ფრონტს შორის კარგა ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა მასშტაბით კონფლიქტში ჩაბმული აღმოჩნდა აფრიკისა და არაბული სამყაროს რამდენიმე სახელმწიფო (უპირველეს ყოვლისა ალჟირი და მაროკო) და იგი ორგვირის სტაბილურობის სერიოზულ საფრთხედ იქცა.

ჯერ არც ერთი ქვეყნისათვის არ მოუტანია კეთილდღეობა მრავალწლიან ომს, ხოლო როდესაც საკითხი ეხება ისეთ პატარა და სუსტად განვითარებულ სახელმწიფოს, როგორიც მავრიტანიაა, აქ სამხედრო ხარჯებმა პირდაპირ კატასტროფის პირას მიიყვანა ქვეყნის ეკონომიკა. ასეთ ვითარებაში წლეულს მაისში, მას შემდეგ, რაც საავიაციო კატასტროფამ იმსხვერპლა ქვეყნის პრემიერი, პოლკოვნიკი ა.ამინ ულდ ბუსეირა და მისი თანამრთების 13 წევრი, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა თავდაცვის მინისტრი პოდპოლკოვნიკი მუჰამედ ჰუნა ულდ ჰეიდალა. თავისი პირველივე სამთავრობო განცხადება ახალმა პრემიერმა სწორედ პოლისარიოს პრობლემას მიუძღვნა და განაცხადა, რომ მშვიდობის დამყარება იქცევა მისი მთავრობის მთავარ ამოცანად.

საერთაშორისო. ცხოვრების ყოველი კვირის მიმოხილვაში შეიძლება ახლო აღმოსავლეთის პრობლემაზე ლაპარაკი, კრიზისის უპრეცედენტო სტაბილურობამ და მოვლენათა დინამიკურობამ განაპირობა მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობის სისტემატური ინტერესი. ამავე დროს, თავის თავად, ახლო აღმოსავლეთის პრობლემა უაღრესად რთულ მოზაიკას ჰგავს. საკითხთა ფართო სპექტრი, თუ შეიძლება ითქვას, მრავალ „მინი“-პრობლემას შეიცავს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია სამხრეთ ლიბანის მოვლენები. გასულ კვირას აქ საგრძნობლად შეირყა ისრაელის დაქირავებული აგენტის, ლიბანის არმიის ყოფილი ოფიცრის ს.ჰადადის პოზიციები, რომელმაც აპრილში ეგრეთ წოდებული „თავისუფალი ლიბანის“ სახელმწიფო გამოაცხადა. რას წარმოადგენს მაიორი ჰადადი და მისი „სახელმწიფო“?

სამხრეთ ლიბანში, 700 კმ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ქრისტიანები და სწორედ მათი დაცვის საბაბით (როდესაც 7 აპრილს ლიბანის არმიამ გადალახა მბიწარე ელოლატანი) ჰადადი, რომელიც ქრისტიანებისაგან შემდგარ 4-ათასიან ჯარად გაწვრთნილი და შეიარაღებულ არმიას მეთაურობდა, განუდგა ცენტრალურ ხელისუფლებას. მიუხედავად ისრაელის არაერთი განცხადებისა, რომ იგი არ ერევა ჰადადის საქმეებში, დღეს ყველასათვის ცნობილია ტელ-ავივის რეალური როლი — ლიბანელი დეზერტირი ისრაელის ერთგული მოკავშირეა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ ერთიანებთ ერთი მთავარი ამოცანა — პალესტინელთა ფიზიკური მოსპობა. „ყოველმა ლიბანელმა თითო პალესტინელი უნდა მოკლას, ვინაიდან პალესტინელებთან ჩვენი ომი — ეს არის ბრძოლა სრულ მოსპობამდე“, — აცხადებს ჰადადი, და განა ტელ-ავივი ღვთის ანაბარა დატოვებს ასეთ ადამიანს? სწორედ ისრაელის დახმარების წყალობით იქცა ჰადადის არმია რეალურ სამხედრო ძალად სამხრეთ ლიბანში. ისრაელიდან განუწყვეტელ ნაკადად მოედინება იარაღი, საჭურველი, სურსათ-სანოვაგე და

მსოფლიო გასულ კვირას

● საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ● *კონფლიქტი ლიკვიდირებულია* ● სეპარატისტთა აგონია ● *კუდზურული* რევოლუციის მსხვერპლთა ბედი ჩინეთში

ნიკარაგუის დედაქალაქში მოდიან თვითმფრინავები და მოაქვთ სურსათი, მედიკამენტები და ტანსაცმელი ბევრი ქვეყნიდან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს დაეხმარონ ამ ქვეყნის ხალხს სწრაფად დაძლიოს ომით გამოწვეული ნგრევა-გაჩანაგების შედეგები.

სურათზე: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოსული თვითმფრინავის გადმოცლა მანაგუის აეროპორტში.

„კომუნისტის“ მიმოხილვა

ვაშინგტონი, 13 აგვისტო. პენტაგონმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სამხედრო-საჰაერო ძალებს ბრძანება მისცა „მზისდონ ტერიტორიული წყლების სამმილიანი ზონის წესს“. ეს ნიშნავს, გამოთქვამს თავის აზრს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხომალდებსა და თვითმფრინავებს გაგზავნის სახელმწიფოთა ტერიტორიული წყლების იმ ნაწილში, რომელიც მას „სადავოდ“ მიაჩნია.

ამჟამად ზღვაზე გასასვლელი მქონე 111 ქვეყნიდან 90-მა შეზღუდა თავისი ტერიტორიული წყლები მანძილით, რომელიც სამ მილს არ აღემატება. ამ წყლებში უცხოეთის გემების ყოფნას და მათ თავზე უცხოეთის თვითმფრინავების ფრენას სახელმწიფოთა საშინაო კანონები არეგულირებენ.

ყველა ქვეყნიდან ერთიანი ტერიტორიული წყლების ზონის დაწესების საკითხს განიხილავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვა

დღეს მოსკოვში გაიხსნება XI საერთაშორისო კინოფესტივალი

მსოფლიოს ეკრანი — საბჭოთა დედაქალაქში

საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში კვლავ შეიკრიბნენ მსოფლიოს პროგრესული კინოხელოვნების წარმომადგენლები. XI საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის ტრადიციული დევიზია „ბუმანიზმისათვის კინოხელოვნებაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის", დღეს გაიხსნება და 28 აგვისტომდე გასტანს. გაზეთ „კომუნისტის" მოსკოველ კორესპონდენტს ამ დიდი მსოფლიო კინოფორუმის საორგანიზაციო კომიტეტში აცნობეს:

— **მოსკოვის** საერთაშორისო კინოფორუმმა, რომელიც უკვე მეოცე წელია ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა, ფართო აღიარება მოიპოვა. ამის საუკეთესო საბუთია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამჟამინდელ ფესტივალში მონაწილეობის სურვილი მსოფლიოს თითქმის 100-მდე ქვეყანამ და 900-მდე საზღვარგარეთელმა კინოოსტატმა განაცხადა.

ხუთიოდე კონტინენტის კინემატოგრაფისტებმა წლევანდელ ფესტივალზე წარმოადგინეს დაახლოებით 450 ფილმი. მათ შორის საუკეთესონი მონაწილეობას მიიღებს ფესტივალის სამ კონკურსში: მხატვრული სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი და საბავშვო ფილმების კონკურსში. ამის კვალობაზე შექმნილია სამი ჟიური, რომლებშიც შევიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ეკრანის ოსტატები, ლიტერატორები, საზოგადო მოღვაწეები. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის ჟიურის ხელმძღვანელობს კინორეჟისორი ს. როტოკვი, მოკლემეტრაჟიანისას — კინორეჟისორი ა. ზგურიდი, საბავშვო ფილმებისას — მწერალი ა. ალექსინი. გამარჯვებულ კინოსურათებს მიენიჭებათ ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზები, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზები.

საბჭოთა კავშირი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების საკონკურსო ეკრანზე წარმოადგენს კინოინსტიტუტია „მოსფილმში" შექმნილ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს „აღმოფრენას" (რეჟისორი ს. კულიში), ხოლო დანარჩენ ორ კონკურსში (მოკლემეტრაჟიანი და საბავშვო ფილმები) მონაწილეობენ რსფსრ-ის, უკრაინის და თურქმენეთის კინემატოგრაფისტები. ამას გარდა ფესტივალზე პირველად იქნება ნაჩვენები ს. ეიზენშტეინის ფილმი „გუმარჯოს მექსიკას!", რომელიც აღდგენილია სსრ კავშირის სახალხო არტისტის კინორეჟისორ გ. ალექსანდროვის მიერ.

წლევანდელ საერთაშორისო კინოფესტივალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტიც, რომ იგი ტარდება საბჭოთა კინოს საიუბილეო წელს. — როგორც ცნობილია 27 აგვისტოს საზეიმოდ აღინიშნება საბჭოთა კინემატოგრაფიის მე-60 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნება ჩვენი მრავალეროვნული კინოხელოვნების როლსა და წვლილს მსოფლიო კინემატოგრაფიის განვითარებაში.

მაშ, ასე, ფესტივალი სტარტს იღებს! ორი კვირის განმავლობაში საბჭოთის დედაქალაქში ეწოთება მსოფლიო კინოხელოვნების დიდი საფესტივალო ეკრანი.

მიწისქვეშა საუკუნეები

მცხეთის რაიონში ნატახტრის დასავლეთით 7 კილომეტრზე არის კარგა მოზრდილი სოფელი წილკანი, რომელიც უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება.

ვინც ამ სოფელში ერთხელ მაინც ყოფილა, უთუოდ მოინიბლებოდა იქვე, ცენტრში მდგარი ღვთისმშობლის ტაძრით, რომლის მშენებლობა მეექვსე საუკუნეში დაუწყია ერთ-ერთ ასურელ მამას ისე წილკნელს.

თავისი არქიტექტურული გადაწყვეტითა და მასშტაბით ეს ტაძარი მეტად საყურადღებოა და წილკნელებიც ამაყობენ ამ ძეგლით. მაგრამ აი, წილკანი მეორე უძველესი მატერიალურ-კულტურული ძეგლის ადგილსამყოფელადაც მოგვევლინა...

თუმცა ალბათ უმჯობესია თანამიმდევრობით მივყვეთ მოგონებათა მსვლელობას.

ლეგენდა კი მოგვითხრობს:

ვიდრე კილიკეზე მისვენებულ ნანა დედოფალს ავი სენისაგან განკურნავდა წმინდა ნინო და იბერიის გულში ძელი ცხოველი აღიმართებოდა, ვიდრე მირიან მეფე საქართველოს სამეფოს ქრისტიანულად გამოაცხადებდა, რა თქმა უნდა, მანამდეც იყო აქ ახალი რელიგიის გავრცელების



წილკნის საიდუმლოებანი

- ქართველ არქეოლოგთა ახალი აღმოჩენა
- წილკნის ტერიტორიაზე ნაპოვნია გვიანი ანტიკური ხანის ქრისტიანული აკლდამა

პირობები. სხვა თუ არაფერი, წერილობითი და ეპიგრაფიკული ცნობები აკი დასტურებენ, რომ იბერიას რომაულ სამყაროსთან ახლო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა და აქ ადრეც ცხოვრობდნენ ქრისტიანული რელიგიის ქვეყნების წარმომადგენლები. მაგრამ მატიანეებმა ის ცნობებიც შემოგვინახეს, რომ ქართლის მოქცევა ერთი ხელის დაკვრით არ დამთავრებულა. წარმართულ სარწმუნოებას შეჩვეული მრავალი ხევი თუ სოფელი ეონრნებოდა ქრისტეს სჯულს. სწორედ ამასთან დაკავშირებით არიან „მოქცევაი ქართლისაიში" პირველად ნახსენები წილკნელები, რომლებსაც ქართლელებთან და ფხოველებთან ერთად მედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ ახალი სარწმუნოებისათვის. მაშინ კი „ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი და შემუსრნა კერპნი მათნი" — გვაუწყებს „ქართლის ცხოვრება". ბომონები დაუმსხვრიეს წილკნელებს, მაგრამ აქ ეპისკოპოსის დასმა VI საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც ვერ მოხერხდა. ერთი სიტყვით, მოვიდა წილკანს წმინდა მამა ისე და იწყო ტაძრის აგება...

წილკნის ისტორიის ამ მცირე მონაკვეთისა თუ ეპისკოპოს ისეს გახსენებაში ღღეს ერთ-ერთ „დამნაშავედ" მექანიზატორი ვახტანგ ფიცხელაური გვევლინება. ერთი თვის წინათ წილკნის საბჭოთა მეურნეობის ფერმის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებს რომ ასრულებდა, მისი ბულდოზერის დანა ნიადაგის სიღრმეში მკვიდრად ნაგებ ფიქლებს მოედო. მრავალსაუკუნოვანმა თაღმა ვერ გაუძლო მანქანას და ერთ ადგილას ჩაინგრა. მექანიზატორის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა: იგი უცახო სამარხს წააწყდა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გაჩნდნენ მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მეცნიერთა ერთ-ერთ ჯგუფი. ეს ჯგუფი, რომელიც ამ ექსპედიციის წევრები, რომელთაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ანდრია ალაქიძე ხელმძღვანელობს. პირველი დასმ-



ულ ნაგებ ფიქლებს ეკიდა ერთ-ერთ ადგილას ბრინჯაოს ბალთა, ერთ ადგილას ბრინჯაოს ბალთა, ერთ ადგილას ბრინჯაოს ბალთა,